საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020157716692523

№ 13-ს **06 / მარტი / 2023 წ.**

ანგელოზი ინვესტორების ქსელების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის № 1-1/66 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ანგელოზი ინვესტორების ქსელების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესარჩევი კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც ეწევიან საქართველოში ანგელოზი ინვესტიციების მიმართულების განვითარებას.

2. საკონკურსო აპლიკაციების მიღება განხორციელდეს 2023 წლის 7 მარტიდან 17 მარტის ჩათვლით, სააგენტოს ელექტრონული პორტალის grants.gov.ge მეშვეობით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. #2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

ავთანდილი კასრაძე